№ 74 სახალხო გაზეთი № 74

ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—33)

ქართული საზაფხულო თეატრი

ოთხშაბათს, 4 აგვისტოს,

მეთვრამეტე დღე ფრანგულ მოჭიდავეთა

ჩემპიონატისა



დღეს იჭიდავებენ ხუთი წყვილი ფალავნები:

1) გადამწყვეტი ჭიდაობა რაზნისა და პეტერსონს შორის; 2) წითელი მასკის და ნაჯის შეტაკება პირველად; 3) ვან როტენი მიხელ მაერის წინააღმდეგ; 4) შავი მასკა ეჭიდავება იაპონელ ბერნეკადოს; 5) მეიერი გამოვა კალკაუს წინააღმდეგ.

ჭიდაობის დაწყებამდე ახალი სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს. საღამოს დასაწ. 9 ს., ჭიდაობისა $10^{1/2}$ საათ.

ადგილების ფასი (30 კაპ., 2 მან.) ყველასათვის ხელმისაწვდომია. (1—ნ.—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1/2}$—$2^{1/2}$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—405)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. ...., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და .... ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სოზოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—244)

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ პ რ ე მ ი ა).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

დ. ს ა ჩ ხ ე რ ე

აკაკი წერეთლის

სახელობაზე დაარსებული უფასო ბიბლიოთეკა სამკითხველოს

გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს, რომ პარასკევს დილით, ექვსს ამა აგვისტოს, დ. საჩხერეში გაიმართება

ლ ა ტ ა რ ი ა - ა ლ ე გ რ ა

ხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. ფასი ბილეთებისა 50 კ. უნივთო ნომერი არ არის. დასაწყისი დილის 10 საათიდან.

(3—365—1) გამგე კნ. ნ. ა. წერეთლისა

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში

მიიღება ხელის მოწერა

5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე

დავით კლდიაშვილის

სრულ თხზულებაზე

(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის კრიტიკული წერილი. ხელის მოწერთათვის ორივე ტომი ეღირება ექვსი აბაზი

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

—◀ ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება ▶—

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

◀●▶ სახალხო იაფ ფასიანი წარმოდგენა ◀●▶

შაბათს, 7 აგვისტოს ქართული დრამატიული საზოგადოების მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ძველი და ახალი თაობა

კომედია 4 მოქმედებად.

II

დ ი დ ი დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

რომელშიაც მსახიობთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მგოსან-მწერლები. ადგილების ფასი 5 კ.-დან 50 კ.-მდე. დაწვრილებით პროგრამაში.

დასაწყისი 8 ნახევარ საათზე.

რეჟისორი ზ. საფაროვი. გამგე დ. მგალობლიშვილი. (3—1)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1/2}$-დან 5 ს.-დე.

ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^{1/2}$—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშევი— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის $10^{1/2}$—$11^{1/2}$ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—81)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყ. ფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე გირონის ქ., № 9. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—178

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—ნ.—41)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1/2}$—$6^{1/2}$ საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქირავდება ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—117)

დაბა ხონში

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების

წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და ასრულებს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სასწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

დაიკარგა

მე, გიორგი ა. მელიკ-მირზოევმა, დავკარგე უვადო პასპორტი. ვთხოვ, ვინც იპოვნოს, აცნობოს ამ ადრესით რუსის ქ. № 3. სტამბა „სინათლე“ პაშა მირზაშვილს. (2—2)

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

## საზღვარ-გარედ

**პარიზი.** ქვევითა შარონტის დეპარტამენტში სად. სოჟენზე ორი მატარებელი ერთი მეორეს დაეჯახა. მოკლულ იქნა და დაიჭრა რამდენიმე კაცი.

**ბუხარესტი.** რადგან საშიშია, რომ რუსეთიდან ხოლერა არ იქნას შემოტანილი, მთავრობამ და ქალაქის თვითმართველობამ მიმართა საზოგადოებას და დახმარება სთხოვა ხოლერის წინააღმდეგ წინასწარ ზომების მიღებაში.

**პარიზი.** სადგურ სოჟენზე მატარებლების დაჯახების დროს მოკლულ იქნა 36, დაიჭრა 30 კაცი.

**ბრიუსელი.** გამოფენაზე ბელგიის განყოფილებაში 1 აგვისტოს ცეცხლი გაჩნდა. შუაღამემდე გადაიწვა ავენიუ-დენასიონის ყველა პავილიონები, გადარჩა მხოლოდ გერმანიისა და ჰოლანდიის პავილიონები, დაიწვა აგრეთვე ქალაქის ნაწილი—„ძველი ბრიუსელი“

**ვენა.** ნადირობის გამოფენისათვის 300 ჩეხის მოსვლის გამო შეტაკება მოუხდათ გერმანელ დემონსტრანტებსა და პოლიციას. დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი. დააპატიმრეს 9 კაცი.

**ცეტინიე.** მოვიდა ოსმალეთის სპეციალური დეპუტაცია ხილმი ფაშის მეთაურობით. დეპუტაციამ უნდა საიუბილეო დღესასწაული მიულოცოს ჩერნოგორიის მთავარს. მთავარმა დიდი ამბით მიიღო ხილმი ფაშა.

**ბრიუსელი.** გამოფენაზე ცეცხლს იმდენი ზარალი არ მიუყენებია, როგორც წინად ეგონათ. ალბად სამანქანო განყოფილება უვნებლად გადარჩენილა. გამოფენის კომიტეტმა დაადგინა, არ დავხუროთ გამოფენა. ზომებია მიღებული ცეცხლის მიერ განადგურებულის აღსადგენად. ცეცხლის მიზეზი გამორკვეული არაა.

**ბერლინი.** „ტაგებლატი“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ჯავიდ-ბეიმ განაცხადა, რომ არც კი შეიძლება ვილაპარაკოთ ოსმალეთ-ბოლგარიის უთანხმოებაზე. რადგან, რასაც ოსმალები მაკედონიაში სჩადიან, ბოლგარებს არ ეხებათ, ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო კარგად სთხზავს ხოლმე სასენსაციო დეპეშებს და მუქარის ნოტებს. ოსმალეთის მთავრობას სრულის კმაყოფილებით ეგებება, რომ გერმანიის მთავრობა შესაფერისად აფასებს სოფიის ფანდებს. ოსმალეთს არ უნდა იცოდეს მაკედონიის საკითხის არსებობა—ცნობა ოსმალეთის ჯარის კაცთა სისასტიკეზე—მტრული ჭორია.

**ბრიუსელი.** გამოფენაზე ცეცხლი წაეკიდა უმთავრესად ინგლისისა და ბელგიის განყოფილებებს და ძველ ბრიუსელს. საფრანგეთის განყოფილებაში გადაიწვა სანოვაგის განყოფილება, პარიზის პავილიონი და სამრეწველო განყოფილების მცირე ნაწილი. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა. სპოკენი (ვაშინგტონის შტატი) ირგვლივ ცეცხლი უკიდია ტყეს. გადაიწვა დაბა ტავტი, სადაც 200 კომლი სცხოვრობდა. დაზარალებულთა დასახმარებლად ჯარი გაიგზავნა.

**ლონდონი.** კენტის საგრაფოში 40 ადგილას სცადეს შაქრის ჭარხლის მოყვანა. ცდამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო შედარებით ევროპის სხვა და სხვა ადგილის ჭარხალთან. ჭარხლის მოყვანაზე მოლაპარაკება აქვთ მემამულეებსა და კაპიტალისტებს. აღუთქვეს შაქრის ქარხნის გახსნა ტენბრიჯ-უელსის რაიონში.

### ჰაერში ფრენა.

**პეტერბურგი.** საღამოს 8 საათზე დირიჟაბლი „კაბიასინი“ მეორედ აფრინდა. 25 წუთის განმავლობაში იგი ვოლკოვის მინდორს გარშემო უვლიდა და ბოლოს როგატკისაკენ გაემართა და ხამართის გაფუჭების გამო იძულებული იყო დაშვებულიყო. არავინ დაშავებულა. ამავ დროს გატჩინის აეროდრომზე მშვიდობით დაფრინავდა რამდენიმე ჰაეროპლანი. პორუჩიკი გორშკოვი სამხედრო ფორმანით ბიპლანზე. გაემართა სოფ. შალოუზასმკენ ექვსი ვერსის სიშორეზე გატჩიიდან; მიფრინ-მოფრენას მოუნდა 12 წუთი. გზაზე ავიატორი შეხვდა დირიჟაბლ „ლებედი“-ს. კაი ხანს უარა გარშემო და მასთან ერთად აფრინდა 200 საჟენის სიმაღლეზე; აეროდრომ დაბრუნებისას, გორშკოვი სამჯერ კიდევ აფრინდა მგზავრებითურთ. იმავ დროს ორჯელ მშვიდობიანად აფრინდა მგზავრებითურთ ავიატორი სრულიად რუსეთის კლუბისა ბ. ხეგნო.

**პარიზი.** ოფიციალურის ცნობით პარიზი დღეს შუა 605 ვერსის მანძილი გადაფრინდნენ. ლებრონი 9 საათსა და 13 წუთს 56 წამს. ობრენი 10 საათსა და 10 წუთს და 5 წამს.

**მიუნხენი.** გუშინ დირიჟაბლი „პარსევალ მე-6“ პირველად აფრინდა მგზავრებით. თან წაიყვანა 16 მგზავრი და ნახევარ საათის ფრენის შემდეგ მშვიდობიანად დაეშვა ძირს.

**შტუტგარდტი.** ავიატორი ფოშელესი კარგა ხნის ფრენის შემდეგ ძირს დაეშვა 30 საჟენის სიმაღლიდან და დაეჯახა 12 წლის ყმაწვილს, რომელიც საავადმყოფოში წაიყვანეს და გზაზე გარდაიცვალა.

**ამიენი.** დღეს, დუედან აფრინდნენ ავიატორები: სბრენი 5 საათსა და 7 წუთზე. ლებრონი-5 საათსა და 11 წუთზე. ლებრონი მოფრინდა ამიენში დილის 6საათსა და 25 წუთზე. ობრენი 6 საათ. 35 წუთზე.

### რ უ ს ე თ ი

**კიევი.** საგუბერნიო საერო გამგეობამ დაიწყო მეტეოროლოგიურ სადგურების მოწყობა საერობო საჩვენებელ მინდვრებზე რადომისლის, ბერდიჩევის, ვასილკოვის, ზვენიგოროდის და უმანის მაზრებში.

**პეტერბურგი.** დილით გატჩინის ჰაეროდრომზე ავიატორმა ლებედევმა ორჯელ იფრინა მშვიდობით მთლად რუსეთში აგებულს ახალს ჰაეროპლან „როსია“-ზე. თითოჯერ იფრინა $2^{1/2}$ წუთი 6 საჟენის სიმაღლეზე. აპარატი ჰაერში კარგად ჩერდებოდა.

**ოდესსა.** ოდესსა-ზასტავის სადგურზე უსწორროდ მომართულ ისრის წყალობით ორი საქონლის მატარებელი დაეჯახა ერთი-მეორეს. 16 ვაგონი პურით სავსე დაიმსხვრა და გზიდან გადავარდა, არავინ დაშავებულა.

**კიევი.** საარხეოლოგიოდ გათხრის დროს ბელგოროდკაში სასაფლაოზე აღმოაჩინეს სხვა და სხვა

ტიპიური საფლავები და აკლდამები და ნიშნები ფრესკის მხატვრობისა, რომელნიც ჰმოწმობენ უზარმაზარ ქვის შენობის არსებობას ვლადიმერ-მეფის დროისას. მთლად სასაფლაოზე მრავლად მოიპოვება თითქმის 16 საუკუნის ნახევრამდე დასაფლავებულნი, რომელნიც სართულ-სართულად არიან ნამარხნი.

**ვლადივოსტოკი.** არიმარის ოლქს ხელმეორედ მოედვა წყალი: რკინის გზის ტოტი, მრავალი ყანა და ბოსტანი წყლით არის დაფარული. მდინარე იმანის პირას მოსახლე ახალშენნი გაჭირვებაში არიან. გადასახლების გამგეობამ ზომები მიიღო გაჭირვებულთა საშველად.

**პეტერბურგი.** 10 აგვისტოს პეტერბურგში მოწვეულ იქნება პირველი სათათბირო კრება რკინის გზის უფროსებისა. საექიმო საბჭომ გადასწყვიტა აეკრძალოს იმ პირთ, რომელთაც არა აქვთ ექიმობის დიპლომი, გიპნოზით ექიმობა სხვა და სხვა სნეულებათა, თუნდაც რომ უფასოდ და ექიმის ზედამხედველობით.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო სასტიკი თვალ-ყური ადევნონ კბილის საექიმო სასწავლებელში მოწაფეთა ჩარიცხვას. მიიღებიან მხოლოდ მოსწავლენი, რომელთაც ექნებათ ნამდვილი საბუთები, რომ სწავლა მიიღეს არა ნაკლებ გიმნაზიის ექვსი კლასის კურსისა. 10 ოქტომბერს უნდა დამთავრებულ იქმნას ჩარიცხვა.

**ლოძი.** როდესაც უბნის ზედამხედველი რაბიევსკი უბანს ათვალიერებდა ვილაც ბოროტმოქმედებმა დასჭრეს მარჯვენა გვერდში.

**ყაზანი.** საგუბერნიო საკრებულოს დახმარებით სამხედრო უწყებამ იყიდა 30 დესეტინა სანადელო მიწა 60,000 მანეთად ქალაქის მახლობელ სოფ. კლიკოვსკელ გლეხებთაგან.

### შავი ჭირი.

**ოდესსა.** სამაზრო სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ შავი ჭირის გავრცელების წინააღმდეგ დაადგინა, აუხსნას ხალხს, თუ რაში მდგომარეობს ავადმყოფობა. ამისათვის უნდა დარიგდეს წიგნაკები, მოაწყონ თაგვების გაწყვეტა, ოჩაკოვში გამართოს შავი ჭირის ბარაკი და ადესიდან მომსვლელთა თვალყური ადევნონ ექიმებმა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა ხოლერით 53, გარდაიცვალა 16, მორჩა 50, საავადმყოფოებშია 842.

**ნიკოლაევსკი** (სამარის გუბ.) 1 კვირის განმავლობაში მაზრაში ავად გახდა ხოლერით 336, გარდაიცვალა 131 კაცი. სენის დაწყებიდან ავად გახდა 712, გარდაიცვალა 271.

**პეტერბურგი.** სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის შესახებ: ერთის კვირის განმავლობაში ალექსანდროვსკში და მაზრაში ავად გახდა 204, გარდაიცვალა 93; ასტრახანსა და გუბერნიის მაზრებში ავად გახდა 261, გარდაიცვალა 127, ბერდიანსკში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 8; მაზრაში ავად გახდა 59, გარდაიცვალა 27; ევპატორიაში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 19; ავად ხდებიან მარტო ქალაქის განაპირა უბნებში; ნიკოლაევსკში (სამარ. გუბ.) ავად გახდა 56, გარდაიცვალა 21; პავლოგრადსა და მაზრაში ავად გახდა 26, გარდაიცვალა 4; მოსკოვში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3; უმეტესი ნაწილი სნეულთა ხიტროვის მაზრიდანაა; ივლისის შუა რიცხვებში რიგაში ჩასულ ორ მგზავრთაგან ერთი მოკვდა, მეორე კარგად არის. სხვა არავინ გამხდარა ავად. კაშინის მაზრაში პირველად გახდა ავად 3, გარდაიცვალა 2.

**ეკატერინოსლავი.** იუზოვის საოლქო ინჟინერის მოხსენებით ნოვოროსსიის საზოგადოების ქარხანასა და მადნებში ხოლერა სუსტდება, 27 ივლისს ავად გახდა 12; გარდაიცვალა 8; ნიკოლო-მიხაილოვსკში ორი დღის განმავლობაში არავინ გამხდარა ავად; სხვა მადნებში თითო-ოროლა შემთხვევა იყო.

**მაკეევკა.** ოფიციალური ცნობებით დონის ოლქში ხოლერა ყველაზე ძლიერ მოდებულია მაკეევსკის სამთა-მადნო რაიონში ტაგანროგის ოლქში, სადაც არის 15 დიდი მადანი და ერთი ქარხანა რომელშიც მუშაობს 30,000 მუშა. თითო-ოროლა შემთხვევა იყო ივნისის მიწურულს დაუყოვნებლივ ზომები მიიღეს. 10 ივლისში სენმა მეტად იმატა. ავადმყოფთაგან 50 პროცენტი იხოცებოდა. სენის დაწყებიდან 30 ივლისამდე ამ რაიონში ავად გახდა 1380, გარდაიცვალა 680. სენს ებრძვის 19 ექიმი, 45 ფერშალი, 140 სანიტარი. მადნების წარმომადგენელთა სათათბირომ შეიმუშავა ზომები ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ.

# ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ხოლერა სოფლად.** გორიდან გვწერენ: სოფელ ხურვალეთში ხოლერა მძვინვარებს. ამ სენით დღემდე ავად გახდა და გარდაიცვალა 6 კაცი: 1) პეტრე გრიგოლის ძე უზნაძე, 2) ალექსანდრე დავითის ძე მაღლაშვილი, 3) ნინო ხუროშვილი, 4) ბარბარე ატენელი, 5) ეკატერინე ჩახელიძე და 6) სანდრო ქიტუაშვილი. ხალხი ძალზე შეშინდა და ტყეებში გაიხიზნა. საჭიროა სასწრაფო სამკურნალო დახმარება. ხოლერამ ფეხი მოიკიდა აგრეთვე ახლომახლო სოფლებშიც.

✦ **ექიმ ალამალოვის მკვლელთა საქმე.** როგორც გადმოგვცეს, ექიმ ალამალოვის მკვლელთ—არშაკ და თამარ მარტიროსოვებს სამხედრო სამართალში აძლევენ.

✦ **სოფლის მამასახლის დაჭრა.** როგორც გორიდან გვატყობინებენ, სოფ. კეხვში რაჟდენს თიბილოშვილს თავში ცული დაურტყამს ჯავის სოფლის მამასახლის იაგორ კურამატოვისთვის და მძიმედ დაუჭრია. მიზეზი—პირადი შურის ძიება ყოფილა.

✦ **სიღნაღის ბოქაულის დაჭრა.** როგორც გვატყობინებენ, სიღნაღის კლუბის ეზოში თავ. ვახტანგ გრიგოლის-ძე ვაჩნაძეს უცაბედად რევოლვერი გავარდნია. ტყვიით გულში მძიმედ დაჭრილა სიღნაღის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ივანე ზაქარიას-ძე ვაჩნაძე და არა ივანე რევაზის-ძე ვაჩნაძე, როგორც გუშინა გვქონდა შეცდომით მოხსენებული.

✦ **სემინარიის ძველი შენობა.** 2 აგვისტოს საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო მართლმადიდებელთა სემინარიის ძველი შენობა, მაგრამ ვაჭრობა არ შესდგა, რადგან მყიდველი არავინ გამოცხადდა.

✦ **დევდორაშვილის შეპყრობა.** შეიპყრეს დაჭრილი ტყვიით დევდორაშვილი (ხაშურის დეპოს მემანქანე) რომელსაც სტრაჟნიკის კლიმიაშვილის მოკვლა ჰბრალდება. ამ სტრაჟნიკმა რამდენიმე ხნის წინად ხაშურიდგან წამოიყვანა დევდორაშვილის უმცროსი ძმა. უნდა მაზრის უფროსისათვის წარედგინა და გზაში მოჰკლა, და განაცხადა, დევდორაშვილი გაქცევას აპირებდა, ვესროლე და მოვკალიო.

✦ **ხოლერა გორში.** 1 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 1, რომელიც 2 აგვისტოსვე გარდაიცვალა.

✦ **კიდევ ს. გრაკალზე თავდასხმის შესახებ** შეიპყრეს მესამე და უკანასკნელი ბოროტ-მოქმედი ისმაილა სულეიმან ოღლი, რომელიც სხვებთან ერთად დაეცა ს. გრაკალს და შემდეგ უხურგუნაშვილს. იგი გორის საპატიმროში ჩაამწყვდიეს.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 2 აგვისტოს დილის 9 საათიდან 3 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—36 ავადმყოფი, მოემატა—1, მორჩა და სამკურნალოდან გამოეწერა—1, გარდაიცვალა—3, სამკურნალოში დარჩა—33.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 2 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი. მათი გვარები: 1) მარგარიტა მიკირტუმოვისა, 2) ეკატერინე ივანოვისა, 3) თევდორე ერშაკოვი, 4) ნიკიტა გერასიმენკო (გარდაიცვალა) და 5) ივანე გონჩარენკო. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **უძრავ ქონებათა შეფასება.** 2 აგვისტოდან ქალაქის დამფასებელი კომისია უკვე შეუდგა ქალაქის უძრავ ქონებათა შეფასებას მეათე საპოლიციო უბანში.

✦ 2 აგვისტოს, სადამოს შვიდ საათზე, ხიდისთავის მცხოვრებმა ივანე ქიტიაშვილმა, რომელიც ფოთის ქუჩაზე სცხოვრობს, პოლიციას განუცხადა, დღეს ვიღაცა უცნობმა სახლიდან 181 მან. 55 კაპ. ნივთები და ტანისამოსი მომპარაო. ეჭვით შეპყრობილ იქმნენ: შორაპნის მაზრის სოფელ ხარითის აზნაური დიმიტრი სვიმონის-ძე ასათიანი მემუსიკე და დუშეთის მაზრის სოფ. იკოთის მცხოვრები ალექსანდრე კიორკის-ძე გიგაური (უსაქმო).

✦ 1 აგვისტოს პოლიციამ შეიპყრო ტფ. მცხოვრები ბაგრატ ოჯანეზოვი, რომელსაც ბრალად ედება მიხეილის ქუჩაზე სავაჭრო ფარდულის სახლიდან 21 ივლისს 222 მან. ნივთების მოპარვა.

✦ 2 აგვისტოს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 11 უპასპორტო.

✦ 2 აგვისტოს რეუტოვის ქუჩაზე იპოვეს ერთის კვირის ბავშვი, მდედრობით სქესისა. ბავშვი ოდგეს საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომრის მეთაურში შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომები შეგვპარვია: მეორე სვეტში დაბეჭდილია **რევოლიუციონური**, უნდა იყოს **რევოლიუციონერი**; იქვე დაბეჭდილია **შრაპნებით**, უნდა იყოს **შრაპნელით**; მეორე სვეტზე დაბეჭდილია: ბოლო უნდა **მიეცა**, უნდა იყოს—ბოლო უნდა **მოეღო**; იქვე დაბეჭდილია: **მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა**, უნდა იყოს—**მუშაობა ვერ შეეძლო**; მეორე სვეტზევე დაბეჭდილია **შემოქმედება**, უნდა იყოს **მოქმედება**; მესამე სვეტში დაბეჭდილია: **კურსის**, უნდა იყოს **კურსიას**;

# ღია წერილი

### რუისის საზოგადოებისაგან.

ყველამ იცის, რომ ამ თვის 6-ს, რუისში დღესასწაულობენ ფერისცვალებას და აი ამიტომ ჩვენ რუისის მცხოვრებნი ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ნუ შესწუხდებიან და ნუ მობრძანდებიან ფერისცვალებას, რადგან ეხლანდელი საშიში მდგომარეობა ხელს გვიშლის და საშიშიც არის, რადგან მოსალოდნელია ჩვენ სოფელშიც შემოიტანონ ხოლერა. ამასთანავე ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას რომ, მიღებულია მაზრის უფროსისაგან ცირკულიარი, რომლის ძალითაც ვხელმძღვანელობთ.

რუისის საზოგადოების მამასახლისი
**ეფრემ გურასპაშვილი.**

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი. **ე. გ.**

# ხოლერა ს. მეჯვრისხევში და ახლო-მახლო სოფლებში

რომ ხოლერა ეწვია ს. მეჯვრისხევს და სხვა სოფლებს უკვე კაი ხანია იცის მკითხველმა საზოგადოებამ. ხოლერის გაჩენა სოფლად ტფილისელებმა არ იცოდნენ და თავშესაფარად აქეთ მიეშურებოდნენ, მაგრამ უბედურობაში ვარდებოდნენ. პირველ მკათათვიდანვე კანტიკუნტად იხოცებოდა ხალხი, საუბედუროდ გლეხკაცობა მალავდა, რის გამო ხოლერამ გაიდგა ფესვები. 10 მკათათვიდან ხოლერა გაძლიერდა. ს. ჯვარეთში რომ გაჩნდა ეს სენი, ხმა დაგდეს ვითომ საქონლის ყვავილით დაიხოცა ხალხი, ... გახდა ავათ 10—12 კაცი და დაიხოცა. მაგრამ ფერშლის შემოწმებით ნამდვილი ხოლერა აღმოჩნდა. იმას მიჰყვა სხვა სოფლებიც აძვი, ახალუბანი პატარა და დიდი მეჯვრისხევი, ახრისი, ზერტი, კირბალი, ჯარიაშენი. სასტიკად მოედო სენი, იხოცებოდნენ, დამარხვას ვეღარ ასდიოდნენ. ხალხი მეტად შეშინდა, მოაგარაკენი მაშინვე გაიხვეწნენ, დანარჩენები შიშისაგან დაფანტულებივით ექიმს და წამალსაც გაიძახოდნენ. ქუჩაში თითქოს ალარავინა სჩანდა, თითქოს სიცოცხლის ძარღვის ცემა შესწყდაო. მაგრამ რამდენიმე სულით მხნე ალაპიანმა და მათთან ერთად ბოქაულმა და მამასახლისმა შეჰკრიბეს ხალხი, გამართეს ყრილობა და მოილაპარაკეს რა ზომები მიეღოთ, სთხოვეს გუბერნატორს დეპეშით დახმარება აღმოეჩინა ექიმით და წამლებით. შეგნებული ხალხი ცდილობდა შეეძინა წამლები, იცავდა სისუფთავეს, გლეხი კი გაიძახოდა: „ეგ ღვთის ნებაა და ბედის წერაა, წამლები და ექიმები ჰხოცვენ ხალხსაო!“ აი ეს შეუგნებლები და უვიცები არიან ეს საწყლები, მაგრამ ნეტა როდემდის?!. ვიდრე ექიმი ამოვიდოდა სოფ. ჯვარეთში რამდენჯერმე ავიდნენ ბოქაული და მამასახლისი, როგორც კი შეეძლოთ დახმარებას უწევდნენ. მამასახლისმა ყველა სოფლები დაიარა, არიგებდა ხალხს და ასუფთავებინებდა კარმიდამოებს, უშიშრად ჰპატრონობდა ხოლერით ავადმყოფებს და განკარგულებას აძლევდა. დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სანიტარული კომისიაც. იმავე დროს იყო მოხელე ტფილისიდან ს. მერაბაშვილი და უსასყიდლოდ დადიოდა თავისივე წამლებით. შინჯავდა ხოლერიანებს და ულიდა. ამავე დროს შეგნებულმა მცხოვრებლებმა ამოირჩიეს თავიანთთა შორის კომიტეტის წევრები სახელდობრ: თავჯდომარე კატილოვიჩი, პოლკოვნიკი ტომითრული, ხაზინადარი თავ. ნ. ი. ერისთავი, დ. გ. ერისთავი, დ. კ. ერისთავი, მდივანი ნ. ი. ლიაძე, კომიტეტი თავგანწირვით ეხმარება სოფლებს. გაჰყო სოფლები უბნებად, ამოირჩია სანეტრები, დაავალა სასტიკი ყურადღება მიექციათ სისუფთავისთვის, ცალკე ამორჩეულ პირთ დაავალა უბან-უბან ფულის შეკრე-

# ქართულ-სომხურის ურთიერთობა

ქართლის ცხოვრებაში ამბად მოტანილი ქართველთა და სომეხთა საერთო შთამომავლობა ზოგიერთმა მკვლევარმა ყბად აიღო მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ქართლის ცხოვრებას, როგორც ქართველთა ერის საისტორიო წყაროს, ძალა და მნიშვნელობა დაჰკარგოდა მეცნიერთა თვალში.

რამ გამოიწვია ასეთი სურვილი მემატიანისა, რომ ჩვენ და სომხები ძმებად გამოვეყვანეთ, მის გამოკვლევას არ გამოუდგები. მაგრამ სომხურის ნაირი სიტყვების ქართულს ენაში არსებობა სესხის ნაყოფი ეგონა სომხის საზოგადოების იმ ნაწილსა, რომელიც საქმეში ჩახედული არ იყო.

ქართლისა და ჰაის ნათესაობის საკითხი თავის თავად დამყარდა მას აქეთ, რაც იპოვეს ურ ჰალდუს და ხეთის ლურსმური წანაწერები ვანის ტბის მიდამოებში კლდეებზე და ამოკითხვას შეუდგნენ. საკვირველია, რომ ივერისტები იმ წანაწერთა კითხვის დროს იხელმძღვანელებენ ქართულს ენასა, არმენისტები კი, როგორც უცხო ქვეყნელი, ისე სომეხიც—სომხურსა.

ვინ იყო ურ ჰაილდუსა და ხეთის ერი? რომელი ხალხის ენაში იხმარება დღეს ეს სიტყვები?

როგორც ორიენტალისტები—აღმოსავლეთის მკვლევარნი ამბობენ, ურ ჰოლდუ და ხეთი ქრისტეს წინ VIII—VII საუკუნეში ორი ერთმანერთის მონათესავე ძლიერი ხალხი ყოფილა, სემის გვარტომისა და დიდი კულტურის პატრონი. მიწა-წყალი ჰსჭერიათ შუა მდინარეთ ვიდრე შავზღვამდე მცირე აზიაში. მაგრამ მათი ბედნიერების დღენი დათვლიდან მას უკან, რაც არიელთა გვარტომის ნაირი ხალხი შემოჭრილა იმ ხანებში მათ ქვეყანაში; აუკლიათ და დაურბევიათ მკვიდრი ხალხი, მაგრამ გადაგვარებით იმდენად ვერ გადუგვარებიათ, რომ მისი სახელი სრულიად აღეგავათ პირისაგან ქვეყნისა.

ურ ჰალდუ და ხეთი ებრაელთა ცხოვრებაშიაც ისსენება. ურ ჰალდუ, მოსე წინასწარმეტყველის თქმით, (დაბადება, XI, 28 და 31) ის ადგილი იყო, საითგანაც აბრაამ მამამთავარი გაიხიზნა ქანაანს თავისი ერითა, რითაც დაუდო დასაბამი ებრაელთა გვარტომს და მის ისტორიასა. ხეთი კიდევ ინგლისელი ორიენტალისტის სეისის თქმით (იხ. მისი ისტორია დავიწყებული სამეფოსი) თვით პალესტინიაშიაც ყოფილა ახალშენად მცხოვრები და ებრაელობასთან დაახლოვებული:

ურ ჰალდუ შეერთებულად ითქვა ურართუ (ლ=რ; დ=თ), რაიცა იპოება ლურსმურ წანაწერებში და რაიც ბერძნებისთვის შეიქმნა ალაროდ. ეს სიტყვა არარატად იქცა, რაიცა ეწოდა სომხეთის მთების მიდამოებსა. ურ ჰალდუს წარმოება ჰქონია აგრეთვე ცალ-ცალკე, ურ, სომხებისაგან ვირად და ვრასტანად ხმარებული ჩვენი ერის და ქვეყნის სახელად, ბერძენ-რომაელთათვის გახდა იგერი, იგერია, იბერი, იბერია, ხოლო სპარსელებისთვის აგირი. ჰალდუ ქართველებისაგან ქართედ (ჰ=ხ=ქ =ქ) გამოთქმული იქცა ბერძენთათვის კარდუ, ანუ ძველებური კარდუხი, რომელიც ძველი ქართული ენის მრავლობით რიცხვს წარმოადგენს (იხ. ჩემი წერილი სახალხო გაზეთში 1910 წ., VII, 17).

ხეთი წარმოებული სიტყვაა, რასაც ჰმოწმობს დაბოლოება ეთი. მაშასადამე ხეთი ის ქვეყანაა, სადაც ცხოვრებდა ხე, ანუ სომხური გამოთქმით ჰაი (ხ=ჰ., ე=აი), ქართულ გამოთქმაში ხე ორნაირად განვითარდა. ჯერ მიიღო, თვისი ბუნების თანახმად, თავსართი მე (მ), რისაგანაც შეიქმნა მეხი, სომეხი, მერმე კიდევ ჩაირთო კეთილ ხმოვანების თვის, ესეც თვისისავე ბუნების თანახმად, ს, რომელიც გახდა ც და მისცა დასაწყისი მესხს (მუსხს), მცხეთას, სამცხეს.

ასე რომ დღეს ეკვივალენტად უნდა ჩაითვალოს ჰაი, მეხი, სომეხი და ვირქ, იგერი, იგერია, აგრეთვე იმერი, გურია და ურია.

შატბერდის„ ქართლის მოქცევაში“ ხმარებული სახელწოდება ქვეყნისა არან ქართლი წარმოადგენს იმ ნაირსავე რთულ სახელს, როგორც იყო ურ ჰალდუ, რომელიც ერთად იხმარებოდა; გრამატიკულად მრავლობითი რიცხვია და პირვანდელი სახე უნდა ჰქონოდა ურნ ქართნი, ისე როგორც სომხურში დარჩენილა ჰაიქ (სომეხნი; სომხეთი) და ვირქ (ქართველნი; საქართველო).

ურართული და ხეთური (აწინდელი გამოთქმით ურ ქართული და სომხური) ლურსმური წანაწერების კითხვა რომ ვიცოდე, ქართველთა და სომეხთა ლინგვისტიკური ნათესაობის გამოკვლევას იქითგან მოვყვებოდი, მაგრამ თუ ამ ორი ხალხის ერთობის რამე ვიპოვე დღევანდელ ქართულ-სომხურში, იმასაც უნდა დავჯერდეთ, რათგანაც გამოდგება საფეხურად, რომლის შემდეგ გაადვილდება აღდგენა ქართულ სომხურის ენის პირველ ყოფილის სახისა. გაადვილდება გადაწყვეტა მის, თუ დღევანდელ ქართულ-სომხურს რა ნათესაობრივი კავშირი აქვს საერთოდ, ან ცალ-ცალკე მათგანს ურართულ და ხეთურ ლურსმურ წანაწერებთან, რომელიც გამოუთქვამთ ორი ერთმანერთის მონათესავე ენითა, როგორც ჰმოწმობს სეისი.

როგორც ვიცით, ძირების ერთობა, შეიძლება, იყვეს ზოგჯერ ენებში, მაგრამ მათი ბუნება სხვაობდეს. ქართულ სომხურის ურთიერთობა განზრახული მაქვს ნათელ ვჰყო ამ წერილში საგრამატიკო ერთობის მაგალითებითა,

ქართულ სომხურში ძირების ერთობას თანა ჰსდევს ხშირად ხმათა მეტ-ნაკლებობა, რაიც უნდა აიხსნებოდეს ბგერითა, და ხმათა ცვალებადობა, მაგ.:

დოცვა, ადათ
დატაკ, ადეტ
მართალი, არდარ.
მგელი, გაილ.
ქვრივი, აირი.
ქმარი, მარდ.
მგვანი, ჰამ (ვა=ი).
ზღვა, წოვ (ვა=ო).
ცვარი, ცოდ (ვა=ო).
კუნწვა, კუჩ (უნ=უ).
ტუჩი, ტუნჩ (უ=უნ).
ეს, აის (ე=აი).
ერი, აირ (ე=აი) და სხვა.

ეს იყო ლექსიკური ერთობის ნიმუშად გაკვრით ნათქვამი; რაც შეეხება საგრამმატიკო ერთობას ქართულ-სომხურში, იმასაც საკმაო თვალ საჩინო ადგილი უნდა ეჭიროს, მაგრამ ყოველი ასეთი ფაქტის ხელად აღნუსხვა ძნელია, რადგანაც ჯერ ამ მხრით არავის შეუსწავლია ქართულ-სომხური.

აღმატებითი ხარისხი ქართულ-სომხურს ენაში გამოიხატება აგრეთვე იმავ სახელ-სართითა, მხოლოდ ორჯერ უნდა გამოითქვას ზედი ზედ. მაგ.:

წვრილ-წვრილი, მანრ მანრ.
დიდ-დიდი, მეწა მეწ.
ცუდ-ცუდი, ხარახარ.

ქართულში ხშირად იხმარება სახელსართად დედალი და მამალი სხვა და სხვა ბუნების აღსანიშნავად. მაგ.:

დედალი დოლო.
მამალი დოლო.
დედალი ხორცი.
მამალი ხორცი.

სომხურშიაც ასეა. მაგ.:

ორძ ჰანქ, მამალი მეტალი.
ორძ ქარ, მამალი ქვა.
მგ ქარ, დედალი ქვა.
ორძ წაღიკ, მამალი ყვავილი.
მგ წაღიკ, დედალი ყვავილი.

ქართულში არის ერთი სუფიქსი ხე, რომელიც ქალს ნიშნავს და რომლისგანაც ჰსწარმოებს მხევალი. ეჭვ გარეშეა, რომ ეს ხე რბილად გამოთქმული იგივეა, რაც ქართულივე გო, რომელიც რთულად აღებული დაედო დასაწყისად გოგოს და მოგვაგონებს გა სანსკრიტულ სიტყვასა. ისიც ეჭვ გარეშეა, რომ ეს ხე (გო) ნაზალიზაციონის წესით გამოთქმული შეიქმნა ქან (ქანწული, ქალწული), ქალი; სომ. კინ, ცოლი; ბერძ. გუნე, დედაკაცი, კორე, ქალი; რუს. ჟენა. სუფიქსი ხე დღეს ზოგიერთ სიტყვებს შეხორცებულად თანასდევს და პირველი შეხედვით კაცი ვერც კი შეამჩნევს, მაგალითად ავიღოთ სიტყვა ძროხა, ანუ ზროხა. ამ სიტყვის ძირია ზრო, რომელიც მეტათეზისის საფუძვლით იგივეა, რაც ზვარ, ანუ ზორ, რომელთაგანაც წარმოსდგა ზვარა, მოზვერი, ზვარაკი, ზორვა, (შემდეგში წირვა) და რუს. ჟერტვა, მსხვერპლი. მაშასადამე ზროხა სიტყვა სიტყვად ნიშნავს დედალ ზვარას. ბებრუხაშიაც უნდა ისმოდეს სუფიქსი ხე მდედრის აღმნიშვნელი. მეგრულში კი ისე, როგორც სომხურსა და რუსულში, ხსენებული სუფიქსი დამოუკიდებელია და აზრი გამორკვეული აქვს. მაგ.:

დადი-ხე, დალიანის ქალი.

—

თაგუჰი, დედოფალი
ქაჯუჰი, გმირი ქალი
ტერუჰი, ქალბატონი.

—

სტარუხა, დედაბერი
პორტნიხა, მკერვალი ქალი

ვლეხკაცობაში, მასთან იგივე ნი ყველა ოჯახს დაწვრილებით სინჯნენ და არიგებდნენ, როგორ და მოქცეულიყვნენ რომ არ ვედროდათ ხოლერა. თავად აზ- ურნი შეძლებისა დაგვარად უწევ- ენ დახმარებას. ზოგნი ფულის გარ- ნივთიერ შემწეობასაც არ ზო და მაგ. თავადმა ნ. ბ. შესწირა მლენიმე ბოთლი კონიაკი და 30 თლი ძველი ღვინო დასუსტებუ- ავათმყოფებისთვის. ასე შეერ- ბულის ძალით ზრუნავდა ყველა. მკათათვეს მოვიდა გამოგზავნი- ექიმი და ფერშალი წამლებით, მლენიმე დღე დაჰყო სოფლად უარა ყველა ხოლერიანებს, მიიღო ირო ზომები ისე რომ შეამცირა ლერა. იგი მალე წავიდა, დას- იგა ფერშალი. კომიტეტი მის დახ ებით მუშაობს და მათი მოქმე- ბა დღითი-დღე ფართოვდება. მართა უფისო სჩაიე, ითხოვა ავრობისაგან უფასო წამლები და ვა დახმარება. რადგან ს. ჯვარე- ს წყარო ერთვის მდინარე მეჯუ- ს და უკანასკნელი ჩამოუდის ზე- ხსენებულს სოფლებს, კომიტეტ- მოისურვა სათავეშივე მოსპოს დამდები სენის მიზეზები, ამიტომ ილო რადიკალური ზომები, შეი- ნა 15 ურემი კირი და ჩაჰყარა ყაროში რომ ამ საშუალებით გას- წინდოს წყალი. მაგრამ ვინ არის ავდები, რომ უვიცი და შეუგნე- ლი ხალხი ხელმეორედ არ გარე- ხავს შიგ ბინძურს ლოგინს ხოლე- იან ავადმყოფისას და ხელმეორედ მოსწამლავს წყალს? რასაც აქაცა ადიან თუმცა თავზედ ასასებივით ადგივართ და ჩავჩიჩინებთ. კომი- ეტი ასე დაუღალავად მოქმედობს ოფლების კეთილდღეობისათვისაც, ისთვისაც დიდსა და დიდს მადლო- ას ვუძღვნით ყველას, განსაკუთრე- ით ბ. კატილევიჩს. და მათთან ერ- ად დაუღალავის შრომისთვის მამა- ახლისს.

10 მკათათვიდან 29 მკათ. მეჯვ- რისხევის საბოქაულოში ავად გახ- და სულ 135 კაცი მორჩა 5 მოკვ- და 60 კაცი ავად არის 70 კაცი. მეჯვრისხევის სამამასახლისოში 10 მკათ.—29 მკათ. სულ 97 კაცი— მოკვდა 40—მორჩა 5 ავათ არის 54 ზომების მიღების შემდეგ ავად დება დღეში 1—2: იხოცება უფ- როს გლეხ კაცი მუშა ხელი და აკლ- ება ისედაც დაბეჩავებულს ოჯახს.

ა. ა—შვილი.

# ახალი ცირკულიარი და სამრევლო სკოლის მასწავლებელნი

სინოდის სამოსწავლო საბჭოს დაუ- დგენია, ციმბირისა და კავკასიის საეკ- კლესიო სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირები მოუმატონ, ე. ი თვითე- ულ მასწავლებელს წლიური ჯამაგი- რი მიეცეს 360 მანეთი. მასწავლებ- ლებად ამ ჯამაგირებზედ ჰსურთ იყო- ლიონ უეჭველად მაღალ და საშუა- ლო სასწავლებლებში კურს-დამთავ- რებული პირნი. ხოლო სხვა მასწავ- ლებელთ უნდა ჰქონდეთ შესაფერი მოწმობები. სინოდის სამოსწავლო სა- ბჭოს ატყობინებს საქართველოს საე- პარქიო საბჭოს და სხვათა შორის თა- ვის მხრივ ურჩევს თუ საჭიროება მო- ითხოვს; ე. ი. თუ კავკასიაში დაილია ნასწავლი და შესაფერისი მასწავლებ- ლები, შუა-გულ რუსეთიდან გამოი- წერონ ნამდვილი რუსი-მასწავლებლე- ბი. რასაკვირველია,—პოლიტიკანო- ბაში სახელ-განთქმული სინოდი ვერ შეურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ სამრევლო სკოლებში რამდენიმე არა- რუსი მასწავლებლობს. უმაღლეს პო- ლიტიკურ მოსაზრებით ყოვლად შე- უწყნარებლად მიაჩნიათ, რომ სამრევ- ლო სკოლებში ისეთი პირი მასწავ- ლებლობდეს, რომელიც ვოსტორგო- ვების სულით არაა გაჟღენთილი. ვსთქვათ, ძლიერ თავი სტკივათ მო- ზარდ თაობის ნორმალურად განვითა- რებაზე, ერთი წუთით ვსთქვათ, რომ პოლიტიკანობას ადგილი არა აქვს და ვიკითხოთ, რა უნდა გააკეთონ ად- გილობრივ ენისა და ზნე-ჩვეულების უცოდინარმა რუსმა-მასწავლებელმა. ავიღოთ მაგალითად, სიღნაღისა და თელავის მაზრების სკოლები. სკო- ლაში მიბარებულმა ბავშვებმა-კახე- ლებმა და ქიზიყელებმა არ იციან რუ- სულად პურს რა ჰქვიან. მიუყვანეთ თქვენ იმათ რუსი მასწავლებელი, რო- მელმაც არც ენა იცის, არც ადგი- ლობრივი პირობები, არც ის წრე და საგნები უნახავს, რომელშიაც აზრდი- ლია ბავშვი და გონება განუვითარე- ბია—რა უნდა გააკეთოს ასეთმა მას- წავლებელმა, როგორ უნდა განუვი- თაროს ბავშვს მისი სათუთი გონება. რასაკვირველია. ვინც პოლიტიკანო- ბით არაა გაჟღენთილი, ის დაგვეთან- ხმება, რომ ასეთი მასწავლებელი ვე- რავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს.*)

როგორც კი მიიღეს ცირკულიარე- ბი, მაშინვე გამოჩხრიკეს უმო- წმობო მასწავლებლები და წინა- ადადება ჰისცეს მათ დროზე შეი- ძინონ მოწმობები, არა და მასწავ- ლებლობას თავი გაანებონ. ყველას კარგად მოეხსენება რა ჯამაგირი აქვს სოფლის მასწავლებელს. თუ მოწო- დება არა, ძნელად თუ ვინმემ გასძ- ლოს. ყველა გემრიელ და მსუქან ადგილებს დაეძებს. ჰო და აი ამგვარი მასწავლებლები, რომელნიც გულით და სულით მსახურობენ ეხლა საში- ნელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. დრო უკვე გასულია და როდის ლა უნდა მოასწრონ მომზადება. მორჩი- ლი მამანი ბრალს იყრიან და ცირკუ- ლიარზე უთითებენ: „ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ კარგად გიყურებთ თქვენ, მხოლოდ აბა როგორ უნდა გადაუ- ხვიოთ ამ გვარ ცირკულიარებს, ჩვენ მეთვალყურეობას ჩამოგვართმევენ“. ის კი ავიწყდებათ მამებს, რომ დიდ ბოროტებას სჩადიან. ბევრ მასწავლე- ბელთ მთელი 4—5—7—15 წელიწადი სკოლის ასპარეზზედ უმტვრევნიათ თავი, მოწოდებაც კი აქვთ და ჯილ- დოს მაგიერ ეხლა უნდა თავი დაანე- ბონ მასწავლებლობას და ულუკმა- პუროდ ქუჩაში გარიყულნი დარჩე- ნენ.—შეიძლება ამ საქმეს სხვა გზი- თაც მოევლოს თუ მოინდომეს მამე- ბმა. ეხლა ერთი ორი სიტყვა თვით მეთვალყურეებზედ. ბევრჯელ მაზრის მეთვალყურეები საეკლესიო სკოლე- ბის სწავლა-განათლებით ძლიერ და- ბლა სდგანან თვით ეხლანდელ მასწავ- ლებლებზედ და წარმოიდგინეთ მკით- ხველო რა უნდა გააკეთონ მათ, თუ მართალა მასწავლებლად აკადე- მია გათავებული პირები დაუნიშ- ნეს? რასაკვირველია ძლიერ სანატრე- ლი არის რომ სწავლა-განათლების საქმე ნასწავლ პირების ხელში ჩავარ- დეს, რომ სკოლებმა ნაყოფი მოიტა- ნონ, მაგრამ კარგ მასწავლებლებს ხომ კარგი მეთვალყურეებიც ესაჭი- როვება. როდესაც ეს განხორციელ- დება, თვით ცხოვრება მათ განადგუ- რებასაც მოითხოვს, რადგან განათ- ლებული მასწავლებლები ვერ აიტა- ნენ ამისთანა ცირკულიარისტებს, როგორნიც ეხლა არიან.—

ენკენისთვე გამოარკვევს ზევით და- ხატულ მეთვალყურეების საქციელს. და მაშინ ყველაფერი გამოჩნდება.

დამაკვირდი.

*) ხსენებულ ცირკულიარის პირი ეპა- რქიალურმა საბჭომ მაზრის მეთვალ-ყუ- რეებს დაუგზავნა რათა მათ ხელმძღვა- ნელად იქონიონ და სისრულეში მოი- ყვანონ, რაც იქ სწერია. მეთვალ-ყურე- ნიც,—აბა როგორ მოითმენდნენ, რომ ხასტიკად არ მოჰქცეოდნენ ცირკულიარს და ახლ-ყლაპიობა არ გამოეჩინათ.

# მოწერილი ამბები

**ქ. სიღნაღი,** ეს თავის მდებარე- ობით დაშაზი ქალაქი მცხოვრების ხელს თითქოს განგებ დაუმახინჯებია; და როდესაც ციხე სიმაგრე სადაც მთელი მაზრის მცხოვრებნი მტრისგან შეში- ნებულნი თავს აფარებდნენ დღეს ამაგე მაზრელთა ტვინის ამომწოვლად გამ- ხდარა. მართლაც შორიდან მის სილა- მაზის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილე- ბა ქალაქში შესვლის უმალ ქრე- ბა; სილამაზის მაგიერ ადამიანს თვალს სჭრის მისი ნაგვიანი, აშმორებული და ძა- ლზედ ოღრო-ჩოღრო ქუჩები, რომე- დიც მცხოვრებთა თვალის ისე შესი- სხლ-ხორცებია, რომ თუმცა დღეს ამ საშიშარ დროს (ხოლერის მხრივ) ქა- ლაქს რაღაც კომისიერი კრება ჰქონია და ექიმიც მოუწვევია თვეში 100 მან. ხოლერის გაჩენამდის და შემდეგში კი 300 მ; მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ამ ექიმს მის გასასტუმრებლად არავითარი ზომები არ მიუღია, ალბად 300 მ. მოლოდინში ის ვერას ამჩნევს და სრულიად ურიგდება ამ ანტისანი- ტარულ მდგომარეობას, ტყუილად კი არ არის ნათქვამი როგორიც ერთ ისე- თი ბერი როგორიც თვით სიღნაღე- ლები არიან ისეთიც ექიმი უშოვნიათ; იცის რომ ხმის გამცემი არავინ არის და ისიც სარგებლობს; ალბად ისიც ნიშნს უგებს მცხოვრებთ მართლაც აქაური გაჭ- რები, რომელიც სიღნაღის მცხოვრებ- თა უმეტესობას შეადგენენ, მხოლოდ ერთ ფიქრში არიან—რაც შეიძლება ერ- თი ოთხად გააძრონ მუშტარს ტყავი და სქლად გააბან ქსელი სოფლად რათა ყველა გლეხის ნაშრომი თვით ჩაიხხრია- დოს შემოდგომით თუ მან ეს აასრულა მაშინ თვით როდესაც მისთვის საში- შარი არაა, მაგრამ ქუჩების უსუფთა- ვობა სრულიად დავავიწყდებათ თუ ინა- ხულეთ აქაური ეგრედ წოდებული სა- სტუმროები, რომელთა რიცხვი ერ- თი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან უსუ- ფთაობაში, განსაკუთრებით მესანიშნა- ვია ამხრივ შუა ქალაქში მყოფი სას- ტუმრო მატინოვისა მობაღიარდეთა და მოქეიფეთა დრიანცელი ნერვებს აუშლის ადამიანს. და აქაურ საჭმელს, რომელიც ნარეცხს უფრო ჰგავს ვიდ- რე საჭმელს, იშვიათი კუჭის პატრონი გადარჩება სადად, მაგრამ, როგორც მოგა- ხსენეთ, ვინაა პატრონი: მით უმეტეს, რომ ნაწილი აქაური ინტელიგენციისა. რომლისაც მოვალეობაა მიაქციოს ამ გვარ მდგომარეობას ყურადღება, ნაკ- ლებ არ არის გატაცებული თავისი სა- კუთარი ინტერესით და ყველა თავს მოქმედებას თავის ჯიბის საზომით ზომავს. აღსანიშნავია რომ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილშიაც, რო- მელსაც უნდა ედგა თავზედ აქაურ ქა- რთულ საზოგადო საქმის მეზღვეურო- ბა, ღრმად გაუდგამს ფესვები ამ ჯი- ბის გასქელების მიმართულებას და მის გარეთ არაფრის გაგონება არ სურთ. წარმოადგინეთ აქ ისიც კი ვერ მოუ- ხერხებიათ რომ გაზეთების გაყიდვის საქმე როგორმე მოაწყონ. კიდევ ამ ნაკლს ჯანი გავარდნოდა, რომ აქ სა- მკითხველო არსებობდეს, როცა იმ ინტელიგენტს, ვისაც ბედი არგუნებ- და აქ რამდენიმე დღის ყოფნას, შე- ძლება ექნებოდა გაზეთი წაეკითხა, მაგრამ როგორ მოსთხოვთ ამ მხრივ საერთო საქმისთვის ზრუნვა როცა მათ შორის ბევრი ისეთი მოიპოვება, რომ თვითონაც არ აქვს გამოწერილი ქარ- თული გაზეთი; ერთი სიტყვით აქაუ- რი ქართველი საზოგადოება იმასაც კი მოკლებული არის, რაც დღეს გაა- ჩნია ჩამორჩენილ სოფელსაც კი; მაგ- რამ სამაგიეროდ აქაურ ინტელიგენ- ტთა შორის გაბატონებულა ისეთი წვრილ- მანობა, შურიანობა და ერთი ერთმანეთის თავლაფლასხმა რომ პირდაპირ დამა- ხასიათებელია ამათი ფიზიონომიის. ეს იყო მიზეზი სხვათა შორის, რომ და- წყებული საქმე წ. კ. საზოგადოების განყოფილების შესახებ, დღესაც დავი- წყებასაა მიცემული. ერთი სიტყვით ეს ქალაქი განხორციელებაა ქალაქის უარყოფით თვისებებისა—იგი შეს- დგება უბრალო ჩარჩ-ვაჭრების და ინ- ტელიგენტ მეშჩანების, რომ- ლებიც თავის მიზნის მისაღწევად არა- ვითარ საშუალებებს არ ზოგავენ და ამათ გატაცებულნი სრულიად უყურა- დღებოდ სტოვებენ საზოგადო ცხოვ- რების კულტურულ მხარეებს.

მროველი.

—

**გორი.** ხოლერის მოლოდინში მხარ- თეძოზე გვეძინა გორელებს. გვეგონა იგი გვიუკადრისებდა, არ მოგვეკარე- ბოდა, მაგრამ მოვტყუვდით და დღეს საშინელი სენი სადარბაზოდ გვეწვია. 22 ივლისიდან დღემდე ხოლერამ შვა- დი კაცი იმსხვერპლა. 23 ივლისს ბარაკში გარდაიცვალა მათხოვარი და- ფაზი 60 წლ. 25 ივლისს მ. იასამა- ნაშვილი 38 წლ. 27 ივლისს ზ. ჯა- ლაბაძე (გლეხი) 60 წლ., დიმ. უან- ხელი 42 წლ., გ. ყულუმბეგაშვილი 48 წლ. (კალატოზი), 29 ივლისს გ. იასამანაშვილი 40 წლ. (მუშა) და შ. ბერიანიძისა 27 წლ. გარდაცვალე- ბულთ ბინებს შესაფერი დეზინფექცია უყვეს. ხალხი დიდ შიშშია. ავადმყო- ფები შეიძლება კიდევ იყვნენ სახლებში, მაგრამ სამწუხაროდ მალავენ, რადგან, როგორც ამას წინადაცა ვწერდი, ხალ- ხში ვიდაცეებმა ხმა გაავრცელეს ბარა- კში ავადმყოფებს ძალად ხოცვენ ფერ- შლებიო. ასეთი ხმა გაავრცელეს, მა- გალითად, მათხოვარა დაფაზზე, რო- მელიც პირველი მსხვერპლი იყო ხო- ლერისა. ხოლერა კი გვეწვია, მაგრამ როდის წაბრძანდება აქედან, არ ვიცით. კარგს იზამს ქალაქის გამგეობა თუ დროებით მაინც დაიქირავებს რამდე- ნიმე მეთუნუხჩეს ქუჩების მოსარწყა- ვად, თორემ ყველას კარგად მოეხსენე- ბა გორის ქარი მტვრით. ქუჩაში მუ- დამ ბურიაში სდგას, გამვლელ- მგზავრს თვალსა და პირს ავსებს. უექიმოთაც ვართ და ესეც შესამჩნევ დადს დაგვასვამს. მაზრის ექიმი დატვირთულია მუშაობით, ქალა- ქში ამ მოარულთან მებრძოლი კი არა- ვინა გვყავს. როგორც გავიგე ამას წი- ნად ქალაქის გამგეობას თხოვნით მიუ- მირთავს სამკურნალო მართველობი- სთვის გამოეგზავნა დროებით ერთი ექიმი და შესაფერი ჯამაგირიც დაუ- წესებია მისთვის, მაგრამ პასუხი არა- ვითარი არ მიუღია. თუ მართალია ჩვე- ნი მუნიციპალიტეტი, ნეტა რას მიე- წერება სამკურნალო მართველობის სა- ქციელი? უკანასკნელად მოვაგონებ სა- ნიტარულ კომისიას თავის მოვალეობას. დროა გამოფხიზლდეს და ენერგიულად შეუდგეს საქმეს. ეხლა ხომ ხოლერა სახლში გვყავს. კიდევ ხომ გარედან არ მოველით. ქუჩების მომეტებული ნა- წილი სულ რამდენიმე ნაბიჯითაა ფე- ხის ადგილებიდან დაშორებული. მია- ქციეთ ამას უმთავრესი ყურადღება, თუ გინდათ იგინი ხოლერის ფიბრიონთან ბუდედ და სიკვდილის წყაროდ არ გა- დაიქცნენ.

ხან-გან-ძე.

—

**რიონი.** სამშაბათს, 20 ივლისს ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მოწაფეე- ბმა ეკატერინოდარისაკენ გაისტუმრეს თავისი საყვარელი მასწავლებელი და ყველასაგან საყვარელი მიხეილ იოსე- ბის ძე სადარაძე. მას აქეთ რაც მი- ხეილ იოსების ძემ ამ გიმნაზიაში შე- სდგა ფეხი, ყველას ღრმა სიმპატია მოიხვეჭა, არა როგორც პირში მიმფე- რებელმა და რბილმა პედაგოგმა, არა- მედ, ნამდვილმა პირში მთქმელმა, ხან და ხან სასტიკმა და მკაცრმაც კი, რო- დესაც ხედავდა მოსათვლ ცუდს გზა- ზედ დამდგარს. რამდენი ტკბილი საა- თი გაგვიტარებია ჩვენ მასთან, რო- დესაც გაკვეთილზე არ შემდეგ გვესა- უბრებოდა დღევანდელ ცხოვრებასთან მისი დარიგებანი და წრფელი სიტყვე- ბი არა მგონია როდისმე გულიდგან ამოერეცხოთ მის მრავალ მოწაფეებთ. წელს ის გადაიყვანეს ეკატერინოდარის გიმნაზიაში, რითაც მოწაფენი ღრმად შეწუხებულნი დარჩნენ. მრავალმა შე- კირდება და სტუდენტებმა გააცილეს ის „ვაშას“ და გაუმარჯოს, მიხეილ იოსების ძე“-ს ძახილით. ვისურვებთ, რომ იმისთანა მასწავლებლები არ გა- მოგვლეოდნენ.

მოწაფე.

—

**სოფ. სკრა** (გორის მაზრა) გო- რიდგან სოფ. სკრა ექვსი ვერსის მა-

---

ზღიუხა, ბოროტი ქალი.

ზოგიერთ ქართულ სიტყვას და- ბოლოს შეხორცებული აქვს ხმა ხ, ანდახან ქ ხმად ქცეული, რომელიც ველად ცალკე სუფიქსს წარმოად- ენდა და ნიშნავდა სიმრავლეს. (იხ. ემი წერილი „სახალხო გაზეთში“ 910 წ. VII, 17). ხეთის ისტო- იაში ხმარებული ხეთიხი, ბერძნე- ის მწერალთა კარდუხი ნიშნავდა ეთელებს, ქართველებს. მაგრამ ესვე უფიქსი აწინდელ ქართულ სიტყვე- შიაც მოისმის და წარმოადგენს სი- რავლეს, თუმცა მნიშვნელობა აღარ ავესმის, მაგ.:

ბალახი მხ. ბალა (რუს, ბორ, ვოლოს)
ვენახი „ ვენა (ლათ. ვინეა)
ციხე „ ცი (თავი მთა, მონგ. თხ, თავ) იხ. ქალაქი.
ტალახი „ ტალა (ტენი, რუს. ტინა)
კუზხი „ კუთი
ფარეხი „ ფარა (სომ. ფარახ)
კუთხე „ კუთ (ქუნჩი)
ფურთხი „ ფურთ (ბერძ. პტუო)
ფორიაქი „ ფორია (ბერძ. ფურათ)
ქალაქი „ ქალა (თათრ. კალე, ციხე, ანალოგიად რო- მის კაპიტოლი, კაპუტ, თავი)
ქერქი „ ქერ (ბერძ. კორა)

სომხურს ენაში ხსენებულ სუფი- ქს, ქ ხმად შეცვლილსა, შერჩა სი- ცოცხლე და იხმარება დღესაც გრა- მარში მაგ.:

აიგესტანქ, ბაღები
ბერდქ, ციხეები
არძანქ, ძეგლები

ხოლო ზოგჯერ გაუგებარია ისე- ვე, როგორც ქართველებისთვის. ამ შემთხვევაში ხან ქ ხმადვე დარჩენი- ლა , ხან კიდევ გ ხმად შეცვლილა. მაგ.:

განქ, სავანე
მიტქ, ფიქრი
ფარქ, დიდება
ერკუ, ორი
ერეკ, სამი.

ქართულში მრავლობითი რაც ხვის ნიშნად იხმარება აგრეთვე სუფიქსი ნ, მაგ. კაცნი. სომხურშიაც ამ გვა- რივე სუფიქსი მოისმის, ზოგჯერ თავ-ბოლოს ხმოვანთა გავლენის ქვეშე მყოფი: ან, ანი, ეან, მაგ.:

ხუჟან, სიმრავლე
კანანი, ქალნი
ბერდეან, ციხენი

ქართულ-სომხურში განმეორებით გამოთქმული სიტყვა ნიშნავს სიმრ- ავლესა; მაგ.:

ბედელ-გედელ
ქალაქ-ქალაქ
ნაპირ-ნაპირ
გზა-გზა
გუნდ-გუნდ, გუნდგუნდი
დროშე-დროშა, დროშა დროშა

ქართულსა და მდაბიურ (აშხარა- ბარ) სომხურში მრავლობითი რიც- ხვის კანკლედობაში ნიშნები ებ და ერ იხმარება ისე, თითქო ჩასართი იყვეს. მაგ.:

სიტყვები, ხოსქერ
სიტყვებისა, ხოსქერი
სიტყვებითა, ხოსქეროვ

ე. ი. მრავლ. რიცხვშიაც კანკლე- დობაც იგივე დარჩება, მხოლოდ სიტყვის ძირსა და დაბოლოებას შუა ჩაისმის ებ, ერ.

მცენარეულობის სახელის საწარ- მოებლად ქართულ სომხურში იხმა- რება თითქმის ერთნაირი სუფიქსი ოვანი, ენი მაგ.:

მაყვლოვანი.
ვაშლოვანი

—

ნუშენი, ნუშოვანი
წირანენი, პერამოვანი
ვარდენი, ვარდოვანი

ქართულ სომხურში იხმარება ერთ- ნაირი სუფიქსები

1, დაკნინებითი:

კი, უკა—იკ. აკ. უიკ. უკ მაგ.:
წიგნაკი,
წინდუკა

—

კნიკ, ცოლი
კრაკ, ცეცხლი
გრგუიკ, წიგნაკი.
მანუკ, ყრმა

2, არ, ილი. ალი—არ, ილ, ალ მაგ.:
მთიბარი,
სიცილი
მწყრალი

—

ტიპარ, ტვიფრი
კათილ, წვეთი
კაპალ, იჯარა.

3, ელი, ული—ელ, ულ, მაგ.:
მჭრელი
წყლული

—

სირელი, საყვარელი
ხოსელ, ლაპარაკი
გრწელ, წრწნა

4, უში—უშნ მაგ.:
ძალუში

—

ანცუშნ, მომხდარი; გასული.

5, ინ—ან სხმით გადამავალ ზმნე- ბში. მაგ.:

გაგებინება
ჰავატაცუცანელ, დარწმუნება
ფახუცანელ, გაქცევა.

6, კავშირები:

ებრ--იბრევ
ჯერ—დერ
თუ—თე
ძი—ზი
ვე—ვე

7, შორის დებულები:

ვაი—ვაი
აჰ—აჰ
იჰ—იჰ
ოჰ—ოჰ
ეჰ—ეჰ
ჰა—ჰა

8, საკითხი სახელნაცვლები:

ვინ , ოვ (ვ=უ=ინ)
ვისი, უარ (ს=რ)
რა , ორ, რომელი

9, საჩვენებელი და პიროვანი სა- ხელ ნაცვლები:

ეს—აის (ე=აი)
შენი—ქო (მეგ. სქანი, რომლის ქ საბგერალია)
უ (ზმნის თავსართი)—ნა (უ=უნ, მეგრ. თინა, რომლის თ საბგერალია,
შენ (მეგრ. სი)—დუ (ლათ. ტუ; ს=შ=ტ=დ)
თქვენ—დუქ, რომლის ქ მრ. რ. ნიშანია.

10, სათვალავი:

ორი—ერკუ (ძველი ერკ, რომლის გ იგივ ქ მრ. რიცხ. ნიშანია)
სამი (სპარ. სე)—ერეკ; რომლის გ მრ. რ. ნიშანია (ს=რ).
ხუთი—ჰინგ (ხ=ჰ; უ=ინ)
შვიდი—ეოთნ (ვ=უ; უი=ეო; ლათ. სეპტემ. ბერძ. ჰეპტა)
ათი—ტასნ;
ათერთმეტი—ტასნ ევ ში
ათორმეტი—ტასნ ევ ერკუ.

ქართულ სომხურში ზოგიერთი სიტყვა განიმეორება ისე, რომ ხან- და-ხან განმეორების დროს ხმას გა- მოიცვლის; მაგ.:

ტუაპა ტუუპი=ტყეპა ტყეპა
თუხ თუხი=დუღდუღი
რამე რუმე=რამე რამე
ხურდა მერდა=ხურდახურდა
უზარ მაზარი=უზარ უზარი
სარ სურ , ცივცივი
ბაბახელ , რაკა რუკი
შოგ მოგ , თბილთბილი

ქართულ სომხურში ყოველ ზმნას უღვლილების დროს თითქოს მიმ- ლეობის ხასიათი ეძლეოდეს და ისე არ იუღლვის, თუ ბოლოს არ დაირთო

გარ—ემ
ხარ—ეს
არს (არის)—ე
ვართ—ემქ
ხართ—ექ
არნ (არიან)—ენ, მაგ.:
მი(ვ)დი-ვარ—გნუმ-ემ
მიდიხარ—გნუმ-ეს
მიდი-ს—გნუმე
ვკერავ—კარუმ-ემ
ჰკერავ—კარუმ-ეს
ჰკერავს—კარუმ ე
ვწუხ,—ანუ (ვ)წუხ-ვარ, ნდამუმ-ემ
ჰწუხ, (ჰ)წუხარ,—ნდამუმ ეს
ჰწუხს,—ნდამუმ-ე.

როგორც ამ მაგალითებით დაი- ნახავს მკითხველი, განსხვავება მხო- ლოდ იმაშია, რომ ქართულ ზმნებს ზოგჯერ მხოლ. რიცხვის პირველ და მეორე პირს ბოლოს აღარ და- ერთვის ვარ, ხარ, თითქოს შეხორ- ცებოდეს (ვკერავ, ჰკერავ), ზოგჯერ კი მთქმელის ნებაყოფლობაზეა, ჰსთქვას, თუ არა ბოლოს ვარ, ხარ (ვწუხ, ანუ ვწუხვარ, ჰწუხ, ანუ ჰწუ- ხარ).

ქართულ სომხურში ზმნა არა თუ იუღლვილება, არამედ იკანკლე- დება კიდეც. მაშასადამე ზმნას ორ- სავ ენაში სახელის მნიშვნელობაც ჰქონია. მაგ.:

კერვა,—კარელ
კერვისა—კარელუ
კერვითა—კარელოვ.

რაც შეეხება სიტყვების ძირთა ერთობას, ეს გარემოება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ქართულ სომ- ხურის საერთო სიტყვების მრთელი ლექსიკონი გამოვა, ადამიანმა რომ ანუსხოს. ამიტომ აქ აღარ შემო- ვიტან. მხოლოდ სპეციალისტების საინტერესოდ დავსძენ, რომ მე შევადგინე ქართული სალინგვის- ტიკო ლექსიკონი, რომელიც შეი- ცავს ათასიოდე სიტყვას გარდა იმ ათასრვაასი წარმოებული სიტყვისა, რაც განსვენებული მეცნიერის და- ვით ჩუბინაშვილის ქართულ-რუ- სულ-ფრანცუზულ ლექსიკონშია გან- მარტებული (სანკტ-პეტერბურგი 1840 წ.). ჩემ ლექსიკონში ნაჩვე- ნები მაქვს მარტო ქართულ სომ- ხური ძირების ერთობა კი არა, ის ენებიც, უფრო არიული, რომელ- საც ენათესავება ქართული, ან ქართულ სომხური ძირი.

პეტრე მირიანაშვილი.

ნძილზეა დაშორებული. ამ პატარა სოფელში მხნე და მშვიდობის მოყვარე ქართველი გლეხები სცხოვრობენ. აქამდის საერთო მოძრაობის შემდეგ სკრიდგან არაფერი ისმის თითქოს იგი სულაც არ არსებობდეს გორის მაზრაში: არც მკვლელობა, არც ცარცვა-გლეჯა და თითქმის არც ხხუბი ამ სოფლიდგან არ გაგვიგონია. მაგრამ 31 ივლისს ვერ დაუმძლეთ სკრელებს მშვიდობიანად მათ ამ სადამოს გაუხნდნენ საიდგანდაც ვიღაც ბოროტნი სულნი, ჯერ სადგურს დაეცნენ ფულის წასაღებად მაგრამ ვერა წაიღეს რა, რადგანაც ფული არ იყო ამ დროს და მერე სოფელს გამოუქრთნენ, გამოჭგლიჯეს მათგან ორი მუშაკი გლეხი და მოაშორეს მას სამუდამოთ. საქმე ასე იყო 31 მკათათვეს სადამოს რვა საათი იქნებოდა დიდალუდ დაქანცული სვიმონა ქოქაშვილი კალოს თავს ანებებდა და ის იყო სახლში აპირებდა წასვლას, როცა იგი შეახვრეს რამდენიმე შეიარაღებულმა უცნობებმა. „შენა ხარ სოფლის ბამოთხილი“? შეჰყვირეს მათ. „არა, შენი ჭირიმე!“ უპასუხა თავში მოხარშულმა გლეხმა. „მაშ წამოდი ჩვენთან.“ უბრძანეს მათ და გაიყოლეს მეუჯიოვით სვიმონა. გაიარეს მეორე კალოზედ სადაც პეტრე ქოქაშვილი მუშაობდა. ყაჩაღებმა იმასაც უბრძანეს გვენებებინა თავი მუშაობისთვის და წაჰყოლოდა სახლში. ყაჩაღებმა კარგად დაჩხრიკეს ქოქაშვილების სახლები და მერე უბრძანეს წამოდით და ჩქარა გზა გვაჩვენეთ სით წავიდეთო მათაც შეასრულეს ბრძანება და როცა იგინი მიუახლოვდნენ ტყეს მოუბრუნდნენ ქოქაშვილებს და ორთავენი იქავე დახოცეს. ამ საზიზღარმა მხეცურმა საქციელმა გლეხები ძლიან შეაძრწუნა ყველანი გაშტერებულები არიან და ერთიმანეთს ჰკითხავენ „რა დააშავეს რომ დახოცესო?“ ამავე დამეს გორის მაზრის უფროსი სტრაჟნიკებით ავიდნენ სოფელში და დაუწყეს ძებნა ყაჩაღებს.

30 მკათათვეს ამავე სოფელში ცეცხლი გაუჩნდა გიორგი ზურაბიშვილის საბძელს და მთლად გადიწვა ზარალი 250 მანეთს უდრის. **გ. კ—ძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**ხორაგაული.** პარასკევს, 30 ივლისს, არტისტ ურუშაძის რეჟისორობით აქ ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს: 1, „ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ“ 2, „ბუტიაობა“ და 3, „დივერტისმენტი“ სხვა და სხვა მწერლების ლექსებიდან. პირველი კომედიის ორივე მოქმედებამ სუსტად ჩაიარა, მეორე კომედია კი მოხდენილად ჩაატარეს. ლექსები გვარიანად წაიკითხეს. წარმოდგენის შემდეგ ხალხმა გამოიწვია ურუშაძე, რომელმაც წაიკითხა რამოდენიმე სცენა და ხალხი ბევრი აცინა. წარმოდგენას ხალხი იმდენი მოაწყდა, რომ ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარ იყო, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია. პირველმა მოქმედებამ ისე ჩაიარა, რომ ხალხის ყვირილში სრულიად არაფერი ისმოდა. უნდა წარმოედგინათ აგრეთვე „ყაჩაღებიდან“ მეხუთე მოქმედება, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ვერ მოხერხდა.

„სახალხო გაზეთი“-საც მე-51 ნომერში აღნიშნული გვქონდა შესახებ 4 ივლისს აქ გამართულ წარმოდგენა-კონცერტისა. ამავე წარმოდგენის შესახებ მოუთავსებია კიდეც „ბითურს“ „ქუთაისის ლისტოკ“-ის მე-93 ნომერში რეცენზია და აუწყებს მკითხველებს, რომ ვითომ ამ წარმოდგენას უმზადოდ ჩაევლოს. იგი სწერს: „Спектакль благодаря не знанію ролей мизансценѣ провалили“. ასე რომ, ჩვენი რეცენზიები ერთი მეორესი დიდად ეწინააღმდეგება. ეჭვი არ არის, რომელიმე ჩვენთაგანი შეცდომაშია შესული, რომლის გამოცნობა თვით დამსწრე პირებს შეუძლიანთ, მაგრამ რაღაც ჭორებია გავრცელებული, რომ ვითომ ბ-ნი „ბითური“ ამ მის მიერ გაკიცხულ წარმოდგენას სრულიადაც არ დასწრებიდეს და რაღაც კერძო ანგარიშით რედაქცია შეცდომაში შეეყვანოს. არ იქნება ურიგო, რომ იგი ახლიდეს პირადად და მით ასეთ ჭორებს სამუდამოდ გაჰფანტავდეს. **რიხვა.**

—

ს. აგჭალა. კვირას, 1 აგვისტოს ს. ავჭალაში წარმოდგენილ იქმნა „პატარა კახის“ მეორე და „მათიკოს“ მესამე მოქმედება. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ჯანდიერი, ბბ. ქივიძე, გოცირიძე, გრიშაშვილი, ციციშვილი და სხვა სცენის მოყვარენი. უპირველესად ყოვლისა ინიციატორს და ადგილობრივ სცენის მოყვარეთ ის უნდა ესაყვედუროთ, რომ სცენა ვერ იყო მოწყობილი. არც სკამები იდგა ხალხის დასასხდომად, რამაც შემდეგ დიდი არევ-დარევა და ჩხუბი დავიდარაბა გამოიწვია.

ბ-ნმა სანდრო ციციშვილმა, გამგემ ამ წარმოდგენისამ, ბოდიშიც მოიხადა უწესრიგობის გამო, მაგრამ ბოდიში საქმეს რაღას უშველიდა. არა უჭირდათ რა ქივიძეს (პატარა კახი), გრიშაშვილს (მწყემსი), რომელიც შემთხვევით მოხვდა წარმოდგენას და ურეპეტიციოდ ათამაშეს. ხოლო უადგილო იყო საერთო სიცილი, რომელიც შუა წარმოდგენაზედ ასტეხეს მოთამაშეთ.

არა უშავდათ-რა რევაზის და გივის მოთამაშეთ.

„მათიკოს“ მესამე მოქმედებაში კარგი იყო მხოლოდ გოცირიძე ოსეფას როლში, რომლის თამაშმაც ელვერი და სიმხიარულე მისცა წარმოდგენას.

საზოგადოებაში დიდი სიცილი გამოიწვია ერთის მაყურებლის თავხედობამ, რომელიც სცენაზე გამოჩნდა. მოთამაშემ ჰკითხა: სად მიხვალო?

— ბუფეტში, ასე მოკლედ არის გზაო.

დასასრულ უნდა ემღერა კავსაძის ხოროს, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო სიმღერა არ შესდგა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. **შორეული.**

## უცხოეთი

**ინდოეთის შეთქმულობა.**

ინგლისის მთავრობა არაფერს ამჟღავნებს შესახებ ბენგალიაში აღმოჩენილ პოლიტიკურ შეთქმულობისას. მრავალი ხალხია დაპატიმრებული მთელს პროვინციაში და აგრეთვე თვით კალკუტასა და რანგუნში. დაპატიმრებულთა შორის არიან ცნობილი ადგილობრივი ვექილი მიმეზინგიდან და სხვა ცნობილი პირნი. მრავალი ცნობაა მოპოვებული მათ დანაშაულობის შესახებ, მაგრამ ყველა ამ ცნობებს მთავრობა ჰმალავს.

კალკუტაში ჩხრეკის დროს ბევრი წერილი და ქაღალდები დაიჭირეს, რომელიც ახალს ილფერს აძლევს უწინ მომხდარ პოლიტიკურს ტერორისტულს აქტებს ბენგალიაში. ამბობენ, რომ ეს ქაღალდები ამტკიცებენ ფართო პოლიტიკურ შეთქმულობის არსებობას ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. „ნევ-იორკ ტიმეს“-ი თანაგრძნობის წერილს უძღვნის ინგლისს და სწერს, რომ ინგლისმა მძიმე ტვირთი იკისრა. ინგლისს, გაზეთის სიტყვით, გადასაწყვეტი აქვს: ან სულ ხელი აიღოს ინდოეთზე, რაიც ძნელი შესასრულებელია, ან და ავტონომია მიანიჭოს ქვეყანას.

მხოლოდ ის არის, რომ სარწმუნოებათა და რასთა განსხვავება, საუკუნოებითი სარწმუნოებრივი და თემიერი ჩხუბი და კასტობრივ სისტემის არსებობა—ყველა ეს უძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენს მათის შეერთებისათვის, რაიც აუცილებელია თვითმართველობისათვის.

გაზეთი იმასაც სწერს, დაუცოვნებელი ცდა ეროვნულ (ინდოეთის) მთავრობის მოწყობისა სისხლის ღვრას გამოიწვევდა, თან დასძენს, რომ ინგლისმა აუცილებლივ უნდა დაინარჩუნოს უმაღლესი კონტროლი ინდოეთის საქმეებისა და თან და თან ამასობაში მოამზადოს ინდოელები მომავალ თვითმმართველობისათვის. ინდოელებს უკვე იღებენ სამსახურში ჯარში, სასამართლო უწყებაში, პოლიციასა და სხვ. მაგრამ ინდოელები ამას არა სჯერდებიან და მინიჭებულ უფლებებით არა კმაყოფილდებიან.

**შოტლანდიაში ავტონომიას ითხოვენ.**

შოტლანდიის დეპუტატებმა, ლიბერალურ და მუშათა პარტიის წევრებმა, მიმართეს შოტლანდიელთ მანიფესტით; რომელსაც 21 დეპუტატი აწერს ხელს და რომელშიაც შოტლანდიის ავტონომიას ითხოვენ: „საკონსტიტუციო საკითხის გადაწყვეტა საბაბად დაედება საპარლამენტო საქმეების გადაწყვეტას. ირლანდიის გამოთქმული სურვილი თვითმართველობისა, რასაკვირველია უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული; არა ნაკლებ საჭირო თვითმართველობა შოტლანდიისათვისაც“.

შემდგომ ამისა, მანიფესტში მოხსენებულია, რომ შოტლანდიის შეერთების დროდან, ე. ი. 200 წლის განმავლობაში, მას სულ მუდამ მოხელენი განაგებდნენ. შოტლანდიის სამინისტროს დაარსებით 1885 წელს არსებითად არაფერი გამოცვლილა რა.

შოტლანდიის სამოსწავლო უწყება განაწილებულია ორ განყოფილებად: ერთი ლონდონისაა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს შოტლანდიასთან, მეორე ედინბურგსა, რომელსაც აგრეთვე არაფერი აცხია რა ხალხის წარმომადგენლობისა. შოტლანდიელი დეპუტატები სჩივიან ინგლისის პარლამენტის გულგრილობას მათი სამშობლოს საჭიროებისადმი, რის გამო ყოვლად შეუძლებელია განსჯა იმ კანონ-პროექტისა, რომელნიც შოტლანდიის შეეხებიან. ამას გარდა თვით შოტლანდიელებსაც უჭირთ დეპუტატობა, რომლის წყალობით მათ ლონდონში უხდებათ ცხოვრება.

ამის გამო შოტლანდიის ეროვნული კომიტეტი წინადადებას აძლევს თავიანთ ამომრჩეველთ: მოითხოვონ ლორდთა პალატის რეფორმასთან ერთად ცალკე შოტლანდიის პარლამენტის დაარსებაც. ეს პარლამენტი მოუვლიდა მხოლოდ კერძო, შოტლანდიის საქმეებს, ხოლო დანარჩენს, რაც შეერთებულ სახელმწიფოს ინტერესებს შეეხება, იმას გაუძღვება ლონდონის პალატა.

მთლად ინგლისის პრესსა დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ მანიფესტს: „ტიმეს“-ი ცხარედ ეწინააღმდეგება ამ მანიფესტს; შოტლანდიის მოთხოვნა მას სეპარატიზმად ეჩვენება, გაზეთს ხელოვნურად მიაჩნია შეერთებულ სახელმწიფოს დაყოფა თემებისა გამო და ირწმუნება, რომ ბარის და მთის შოტლანდიელნი უფრო მეტად განირჩევიან ერთმანერთში, ვიდრე ბარის შოტლანდიელნი და ჩრდილოეთელი ინგლისელებიო. პატარა ერების ავტონომიურ მისწრაფებათა დაკმაყოფილება სახელმწიფოს დაქსაქსვას უქადისო.

სხვა გაზეთები არა ნაკლების ენერგიით უარყოფენ ამ საბუთებს. შოტლანდიურ ეროვნების არსებობა ისე ბუნებრივია, რომ თვით პარლამენტიც ითვალისწინებს ამ გარემოებას და შოტლანდიისათვის საგანგებო კანონებს აწესებს; ამასთანავე იმასაც ნუ ივიწყებთ, რომ სახელმწიფოს დაქსაქსვაზე არავინ ლაპარაკობსო, საჭიროა მხოლოდ მისი უცხო ფართო დეცენტრალიზაციაო, ამბობენ გაზეთები. რა ნაყოფს გამოიღებს ეს პოლემიკა, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ახლაც ცხადია, რომ შოტლანდიელ მანიფესტით ინგლისის საკონსტიტუციო კრიზისის ისტორიას ერთი ახალი გვერდი კიდევ ჩაემატება.

## რუსეთი

**◆ გზათა მინისტრის ახალი განკარგულება** გზათა მინისტრმა ს. ვ. რუხლოვმა ბრძანება გასცა, რომ სახელმწიფო რკინის გზების ყველა სადგურებზე და უმთავრეს ვაგზლებზე დაარსებულ იქმნას საცნობო ბიუროები, როგორიც უკვე კაი ხანია მოწყობილია სამზღვარ-გარედ. ამ ბიუროებმა უფასოდ უნდა მიაწოდონ ყველა მსურველთ ცნობები შესახებ ცხოვრების პირობებისა მატარებლის მისვლა-მოსვლის დროისა, აგრეთვე რომელი მატარებლები როდის სად ხვდებიან ერთმანეთს და გემებს. ამას გარდა, უნდა მიაწოდონ ცნობები შესახებ მოგზაურობის პირობებისა რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში, სასტუმროების, ამ ბიუროში უნდა იშოვებოდეს გასაყიდად ყველა გზის მაჩვენებელნი და აგრეთვე ურიგდებოდეს მსურველთ განცხადებანი სასტუმროებისა, რესტორანებისა და სხვათა.

**◆ ფინლიანდია.** ახალგაზრდა ფინლაინდიელთა გაზეთს „suomalannen Kansa“-ს მოუთავსებია წერილი, სადაც ხალხს წინააღმდეგობისა და ბრძოლისაკენ იწვევს; ზოგიერთი ადგილები ამ წერილისა მოჰყავს „ფინლიანდიის გაზეტა“-ს.

„ამ ხანად ჩვენ განვიცდით ისეთ დროს, რომელიც სიკეთეს არაფერს გვიქადის მომავალში. ეგრედ წოდებული „სრულიად სახელმწიფო კანონმდებლების წესი“, მოწონებული რუსეთის ორივე უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებებთა მიერ, საფრთხეს უმზადებს ჩვენი ერის ეროვნულ-პოლიტიკურ არსებობას. თუმცა ჩვენ ვითომდა მშვიდად დაუხვდით ამ იერიშს მაგრამ მაინც ყველასათვის ცხადია. რომ, თვითეული ჩვენგანი, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო, აღგზნებულია გულწრფელის სურვილით ბრძოლისა და თავის თავის და თავის მოძმეთ ეკითხება: „რაღა ვქნათ ახლა, რა მოვიქმედოთ მრავალი სახალხო კრებები, რომელიც მრავლად იმართება ამ ხანად მის თავმდებია, რომ ერი არასოდეს არ დაჰმორჩილდება ახალს კანონმდებლობას და არ აღასრულებს მას. ჩვენ ყველანი როგორც ერთი კაცი, ვიცავთ ჩვენს ძირითად კანონებს და სეიმს; თვითეული ჩვენგანი ეცდება ყოველის კანონიერის საშუალებით დაიცვას ჩვენი უფლება და წინააღმდეგობა გაუწიოს ძალმომრეობას რანაირ ფორმითაც უნდა განიხახოს იგი და რა გვარადაც მოინდომონ მისი განხორციელება.

ჩვენ არ უნდა ვიყოთ მარტო სეიმის და ჩვენის მოთავეების მოიმედენი. თვითეული ფინლიანდიელი მტკიცედ უნდა იდგეს თავის ადგილზე ერთი სიტყვით, დეე იყოს რაც იქნება, მაგრამ თუ საჭიროებამ მოიტანა თვითეული ჩვენგანი მსხვერპლად შესწირავს თავს ჩვენი მოვალეობის აღსრულებას“. (ნ. ვ.)

**◆ უმაღლეს სასწავლებლებში.** პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შეუტანიათ 3000 მეტი თხოვნა; ვაკანსია კი არის მხოლოდ 1200.

29 მკათათვემდე მოსკოვის უმაღლეს კურსებზე მიღებული იყო უკვე 1,406 თხოვნა შესახებ ჩარიცხვისა. ვაკანსია კი არის მხოლოდ 1150, რომელიც ასეა განაწილებული: საისტორიო ფილოლოგიურ განყოფილებაზე—500, ბუნების მეტყველზე—250, მათემატიკურზე—200 და საექიმოზე—200; მთხოვნელები კი ასე არიან განაწილებულნი: ჩარიცხვა ითხოვა საისტორიო ფილოლოგიურ ფაკულტეტზე—662, საექიმოზე—274, საბუნების-მეტყველზე—254 და მათემატიკურზე—216.

სამინისტროს მიერ ახლად გამოცემული წესები უმთავრესად სცვლიან და შეეხებიან სამედიკო განყოფილებაზე ჩარიცხვის მსურველთ, იმ პირთ, რომელნიც წარმოადგენენ მოწმობას შესახებ იმისა, რომ გიმნაზიაში ამ სამოსწავლო ოლქთან ჩააბარეს ეგზამენი ლათინურისა, რუსული ენისა და ერთ-ერთ ახალ ენათაგანისა, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლევა. დანარჩენნი, ვისაც კი ჩარიცხავენ ამავ განყოფილებაზედ, და ამისთანა მოწმობა არა აქვთ, მოვალენი არიან კურსებზედ ყოფნის პირველ ერთ წლის განმავლობაში წარმოადგინონ. თხოვნებს კიდევა გზავნიან; პირველ მარიამობის თვიდან თხოვნებს მიიღებენ როგორც ფოსტით, ისე პირადად, კურსების კანცელარიაში და გაგრძელდება ამ თვის ათამდე.

მოსკოვის ტეხნიკურ სასწავლებლის ორივ განყოფილებაზე—მეხანიკურსა და ტეხნიკურსა, ჯერ-ჯერობით გაგზავნილია 480 თხოვნა, ვაკანსია კი 300 არის; საკონკურსო ეგზამენები დანიშნულია 19 მარიამობისთვეს.

შინიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში მიუხედავად იმისა, რომ განცხადებების მიღება იწყობა პირველ მარიამობისთვიდან, უკვე რამდენიმე მსმენელი ჩაეწერა. უნივერსიტეტი იღებს მრავალ შეკითხვას პროვინციიდან, უმთავრესად სამხრეთიდან, ამისთანა შეკითხვა უნივერსიტეტს მიღებული ჰქონდა 29 მკათათვემდე 500-ზე მეტი.

**◆ არა რუსთა გაძევება სამსახურიდან.** გზათა სამინისტროს გადუწყვეტია გააძევოს სამსახურიდან ყველა არა რუსი, რომელთაც კი გამოჩენილი, დიდი ადგილები უჭირავთ რკინის გზის გამგეობისა და ლიანდაგის სამსახურში, იმ გზებზე, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. თავდაპირველად განზრახულია დათხოვნა ნიკოლაევისა, ვარშავისა და ბალტიის გზებიდან.

**◆ სენატორი ნეიდგარტი და პოლონური ენა.** „ვარშ. სლოვო“ იტყობინება, რომ სენატორ ნეიდგარდტს შეუნიშნავს პოლონელნი მოხელენი ერთიერთმანეთში სამშობლო ენაზე ლაპარაკობენო. ამის გამო დაწესებულების უფროსს განკარგულება მოუხდენია, რომ კვლავ პოლონელმა მოხელეებმა აასრულონ მოწერილობა, რომელიც ავალებს სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეთ რუსულად ილაპარაკონ სამსახურის დროსაო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს საჭილაოს უფასო ბიბლიოთეკა—სამკითხველოს ფულით, წიგნებით და ჟურნალ-გაზეთების გამოწერით.

სია შემომწირველთა: კნეინა ნატალია აბაშიძისა—10 მან., მღვდ. ი. ქვანია—5 მანეთი, პარმენ ნოდია—3 მან 50 კ., მასწავლებლები: ა. ჭანტურია, პ. გვაზავა, ი. ჯანელიძე, ვერა კორძაია, სამ-სამი მანეთი, მიხელ ბ. კორძაია—2 მან. 50 კაპ., ვაჭარი პ. ძიძიგური და ა. კომახიძე ორ-ორი მანეთი. ვაჭრები: ა. დუნდუა, ბაგრატ დუნდუა, ამბაკო გოთოშია—თითომ მანეთ ნახევარი; ალექსანდრე ჩიგოგიძე, მიხელ გ. ასათიანი, ბესარიონ თელია, ი. დუნდუა, ლავრენტი მიქაძე, გიორგი ი. კორძაია, იუსტინე ლ. ხონელიძე, ვარდენ კორძაია, რომანოზ ს. ხონელიძე, ანტონ მიქაძე, გიორგი დ. ახობაძე, სტუდენტები ივანე ნ. ლორთქიფანიძე, ი. ჯინორიძე—თითო მანეთი, იოსე ი. კომახიძე, პ. ი. კომახიძე ალექსანდრე ე. კომახიძე, კ. პირტახია, ი. პირტახია, ე. ფადავა, ი. ჩიგოგიძე, ს. ჩიგოგიძე, ვ. ნადარეიშვილი, დიმიტრი მ. კორძაია, თედორე ი. გოგიშვილი—ათ-ათი შაური. ზაქარია ჭიჭინაძე—40 ცალი წიგნი, ი. ძიძიგური—2 ცალი წიგნი, ლ. ხონელიძე, ბ. ფირცხალავა და ვ. დუნდუა—თითო ცალი წიგნი, ივანე ლ. ბრეგაძემ—გამოუწერა სამკითხველოს ჟურნალი „ჯეჯილი“ ამ წლისა.

საჭილაოს ბიბლიოთეკა—სამკითველოს გამგე—**კ. თოფურიძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს „სახალხო გაზეთის“ მე-39 და მე-56 №№-ში მოთავსებული იყო თელავის საკრებულო ტაძრის ორ კლასიან სამრევლო სკოლის გადაერთკლასიანების შესახებ ორი წერილია, რომლის ავტორად ზოგიერთები მე მასახელებენ, რის გამოც გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ აღნიშნული წერილები მე არ მეკუთვნის.*)

მასწავლებელი **ენ. ივ. ჭიკაძე.**

*) ამით ვაცხადებთ რომ მოხსენებული წერილები ბ. ჭიკაძეს არ ეკუთვნის. **რედაქცია.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღოხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—155

**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ე. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ვ. ყიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.


## მატარებლების მიმოსვლა
18 აპრილიდან 1910 წ.
საათები ნ აჩვენებია ტფილ[...] მიხედვით, რომელიც პეტერბურგის 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**
ბათუმისკენ: N 1, ხწრ.—საღ. 11 ს.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს.
ბაქოსკენ: N 2, ხწრაფ.—დილ. 8 ს.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს.
სამგზავ.—დღ. 3 ს.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს.

**ტფილისში მოდის**
ბათუმიდან: N 2, ხწრ.—დილ. 7 ს.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს.
ბაქოდან: N 1, ხწრფ.—საღამ. 10 ს.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს.
სამგზ.—საღამ. 8 ს.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს.


## კატალოგი
**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ[ელი] საზოგადოების წიგნის მაღაზიის. №**

I

საზულიერო შინაარსის წიგნები.
1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ.
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . .
4. ფსალ[მუ]ნი. ტფ. 1901 წ. . . .
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. .
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.
7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . .
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . .
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ.
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . .
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ.
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ.
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . . 1 მ.
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . .
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. .
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ.
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . , . . . . 1 მ.
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . .
19. იერეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . .
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . .
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . .
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ.
23. ნიშადი. კრებული. ტფ. 1909 წ.
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . .
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . .
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . .
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . .

ხაყმაწვილო სურათებიანი ჟურნა[ლი]
**„ნაკადული“**
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1[911] წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხე[ლის] მომწერლებს:
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მო[ზრ]დილთათვ[ის]
გარდა ამისა მიეცემა პრემიად სა[...] ზღაპ. უნივერსიტეტი (სამეფნიერო-პ[ოპუ]ლიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათ[ვის])
1. „დედამიწა და კუდიანი ვარსკვლ[ავი]“—ზღაპარი ევალდისა; 2. „მარჯნები[...]“ ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი [...]“ ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხ[...]რული ასოები კუბიკებზე.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთ[ი მა]ნეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემ[ა] სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიუ[რად] —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთა[თვის] 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთა[თვის] 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილ[ისში] „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვ[ინის] პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გ[ამა]ვრცელებელ საზოგადოების მაღაზ[იაში] თავად-აზნაურთ ქარვასლაში).


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოლოლაშვილი.